საქართველოს მთავრობის

დადგენილება №210

2023 წლის 5 ივნისი

ქ. თბილისი

„ახალი გაცივებული და გაყინული ღორის, ცხვრის, თხის ხორცისა და შინაური ფრინველის ხორცისათვის წარმოშობის ადგილისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 ივნისის №326 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, „ახალი გაცივებული და გაყინული ღორის, ცხვრის, თხის ხორცისა და შინაური ფრინველის ხორცისათვის წარმოშობის ადგილისა და წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 ივნისის №326 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 21/06/2022; 300160070.10.003.023537) მოქმედება შეჩერებულ იქნეს 2025 წლის 1 ივნისამდე.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**